

შპს “სექვოია”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	4
კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	5
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები.....	6-10

შპს „სექცია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტი	4	3 767 088	1 636 222
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		-	157 201
გადახდილი ავანსები		41 422	22 897
სასაქონლო მატერიალური მარაგი		468 060	468 060
სულ მიმდინარე აქტივები		4 276 570	2 284 380
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები სხვა საწარმოში		296 570	296 570
სულ გრძელვადიანი აქტივები		296 570	296 570
სულ აქტივები		4 573 140	4 573 140
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	50 465	50 465
მიღებული ავანსები		2 396	1 899
სულ მიმდინარე ვალდებულებები		52 861	52 364
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		337 906	95 520
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		4 182 373	2 136 496
სულ კაპიტალი		4 520 279	2 232 016
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4 573 140	2 284 380

დირექტორი:

გიორგი აბაშიძე

21 ნოემბერი 2020 წელი

საქართველო, თბილისი

შენიშვნები გვერდებზე 6-10 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სექვოია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის


**ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**

თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტი	4	3 767 088	1 636 222
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		-	157 201
გადახდილი ავანსები		41 422	22 897
სასაქონლო მატერიალური მარაგი		468 060	468 060
სულ მიმდინარე აქტივები		4 276 570	2 284 380
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები სხვა საწარმოში		296 570	296 570
სულ გრძელვადიანი აქტივები		296 570	296 570
სულ აქტივები		4 573 140	4 573 140
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	50 465	50 465
მიღებული ავანსები		2 396	1 899
სულ მიმდინარე ვალდებულებები		52 861	52 364
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		337 906	95 520
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		4 182 373	2 136 496
სულ კაპიტალი		4 520 279	2 232 016
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4 573 140	2 284 380

დირექტორი:

გიორგი აბაშიძე



21 ნოემბერი 2020 წელი

საქართველო, თბილისი

შენიშვნები გვერდებზე 6-10 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სექცოია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი მომსახურებიდან		2 317 438	3 276 859
სხვა შემოსავლები		-	-
სულ შემოსავლები		2 317 438	3 276 859
ადმინისტრაციული ხარჯები	6	(280 176)	(1 524 746)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		2 037 261	1 752 113
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი ნეტო	7	501	(618)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		8 115	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		-	(33 302)
მოგება დაბეგვრამდე		2 045 877	1 718 193
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
პერიოდის მოგება/ზარალი		2 045 877	1 718 193
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		2 045 877	1 718 193

დირექტორი:

გიორგი აბაშიძე

21 ნოემბერი 2020 წელი

საქართველო, თბილისი

შენიშვნები გვერდებზე 6-10 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „სექვოია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი მომსახურებიდან		2 317 438	3 276 859
სხვა შემოსავლები		-	-
სულ შემოსავლები		2 317 438	3 276 859
ადმინისტრაციული ხარჯები	6	(280 176)	(1 524 746)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		2 037 261	1 752 113
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი ნეტო	7	501	(618)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		8 115	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		-	(33 302)
მოგება დაბეგრამდე		2 045 877	1 718 193
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
პერიოდის მოგება/ზარალი		2 045 877	1 718 193
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		2 045 877	1 718 193

დირექტორი:

გიორგი აბაშიძე

გ. აბაშიძე

21 ნოემბერი 2020 წელი

საქართველო, თბილისი

შენიშვნები გვერდებზე 6-10 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილი

შპს „სექცოია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

**კაპიტალის მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**

თანხა მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისათვის	-	418 302	418 302
კაპიტალის ზრდა	95 520	-	95 520
პერიოდის სრული შემოსავალი	-	1 718 194	1 718 194
დივიდენდის გატანა	-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	95 520	2 136 496	2 232 016
კაპიტალის ზრდა	242 386	-	242 386
პერიოდის სრული შემოსავალი	-	2 045 877	2 045 877
დივიდენდის გატანა	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	337 906	4 182 373	4 520 280

დირექტორი:

გიორგი აბაშიძე

21 ნოემბერი 2020 წელი

საქართველო, თბილისი

შენიშვნები გვერდებზე 6-10 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სექვოია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

**კაპიტალის მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**

თანხა მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისათვის	-	418 302	418 302
კაპიტალის ზრდა	95 520	-	95 520
პერიოდის სრული შემოსავალი	-	1 718 194	1 718 194
დივიდენდის გატანა	-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	95 520	2 136 496	2 232 016
კაპიტალის ზრდა	242 386	-	242 386
პერიოდის სრული შემოსავალი	-	2 045 877	2 045 877
დივიდენდის გატანა	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	337 906	4 182 373	4 520 280

დირექტორი:

გიორგი აბაშიძე

გ. აბაშიძე

21 ნოემბერი 2020 წელი

საქართველო, თბილისი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია და ძირითადი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სექვოია“ (შემდგომში - კომპანია) რეგისტრირებულია 2018 წლის 21 მარტს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 405259786. კომპანიის, ისევე როგორც მისი შვილობილი კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, მ. ალექსიძის ქუჩა #3, სადარბაზო 2, სართული 11, ბინა 91.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორები არიან:

- თამარ როგავა (პ/ნ 19001092291) - 50.00%;
- თეონა გაფრინდაშვილი (პ/ნ 01001065704) - 50.00%;

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიას:

შვილობილი კომპანია	საიდენტიფიკაციო კოდი	2020	2019
სს „სკინ ჰელს“	412723290	100%	100%

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გასაჯაროების მიზნით. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ელემენტების: აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის მუხლების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების კრიტერიუმები შესაბამისობაშია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებულ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (შემდგომში ფასს) და მათი მომზადების კონცეპტუალურ საფუძვლებთან, თუ ქვემოთ ჩამოყალიბებულ ცალკეული ფინანსური ელემენტების სააღრიცხვო პოლიტიკაში არ იქნა სპეციფიკურად სხვაგვარად მინიშნებული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია უახლოეს მთელ რიცხვამდე.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2019 წლის 31 დეკემბრის დამთავრებული პერიოდისათვის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას და მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას. ჯგუფი არ წარადგენს ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას.

საკითხები, რომლებშიც ასახულია კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები და რომლებიც საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია ან განზრახულია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში.
- ფლობის ძირითადი მიზანია გაჭრობა.
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს ან მათ ექვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მათი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების შედგენის თარიღიდან.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის ან 12 თვის განმავლობაში (რომელიც უფრო გრძელია), ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ 12 თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს. ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ვალუტა

ჯგუფი ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი ნაშთები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის ჯგუფის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მომსახურების გაწევის შედეგად მისაღები თანხები. აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. თუ მათი ამოღებადობა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან მოთხოვნებად შესაბამისად. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ზარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღირიცხვას ჯგუფი ახდენს უწყვეტი აღირიცხვის მეთოდით.

ჯგუფი მარაგებს აფასებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასა და მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ ყველა დანახარჯს.

მარაგების ჩამოწრა ხდება საშუალო წრფივი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის მომწოდებლებისათვის გადასახდელი თანხები წარმოშობილი მომსახურების მიღების ან საქონლის მოწოდების შედეგად. აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. თუ მათი ამოღებადობა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად შესაბამისად. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ზარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამოწვევებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

შპს „სექვოია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან), სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

საკუთარი კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალის ოდენობა ჯგუფის წესდებით განისაზღვრება. ჯგუფის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრების უფლების ცვლილება), ხორციელდება პარტნიორების გადაწყვეტილებით.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლები მომსახურების გაწევიდან მაშინ აღიარდება, როდესაც კლიენტისთვის ხდება მომსახურების მიწოდება. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რეალიზაციასთან დაკავშირებული არაპირდაპირი გადასახადების გამოკლებით.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს ჯგუფის მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. ჯგუფი დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც ხარჯს.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება მაშინ თუ მოსალოდნელია ჯგუფის ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ჯგუფიდან აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება ჯგუფის საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეებზე განაწილებასთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

4. ფულადი სახსრები და ექვივალენტები

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტების საბალანსო ნაშთები შემდეგია:

	31.12.2019	31.12.2018
ნაღდი ფული სალაროში	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	8 406	11
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1 758 682	1 636 211
სულ ფულადი სახსრები და ექვივალენტები:	3 767 088	1 636 222

5. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო ვალდებულებები	50 465	50 465
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	50 465	50 465

6. ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	267 666	130 571
საკონსულტაციო ხარჯი	6 883	1 392 581
ბანკის ხარჯი	795	207
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	4 832	1 387
სულ ადმინისტრაციული ხარჯები:	280 176	1 524 746

7. სავალუტო მოგება/ზარალი ნეტო

	2019	2018
დადებითი საკურსო სხვაობა	1 206	150
უარყოფითი საკურსო სხვაობა	(705)	(768)
სულ სავალუტო მოგება/ზარალი ნეტო:	(501)	(618)

8. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდგომ, COVID-19-ის გავრცელებამ, რომელიც პანდემიად იქნა გამოცხადებული მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე და ქვეყნის ეკონომიკის გარკვეულ მაჩვენებლებზე. 2020 წლის მარტში მნიშვნელოვანი შეზღუდვები დაწესდა ბიზნეს საქმიანობაზე, გარკვეული პერიოდით გამოცხადდა კარანტინი, რაც მოგვიანებით მოიხსნა, გარკვეული შეზღუდვები კი დღემდე ძალაში რჩება. მიუხედავად ამ შეზღუდვებისა, კომპანია 2020 წელს საქმიანობის მასშტაბებს ინარჩუნებს. თუმცა იზრდება იმის ალბათობა, რომ პანდემიისას განვითარებულმა მოვლენებმა და მისი შეკავების ღონისძიებებმა დიდი გავლენა იქონიოს ეკონომიკაზე. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება მოვლენების განვითარებას და ინფექციის გავრცელების შესაძლო გავლენას კომპანიის საქმიანობაზე, თუმცა ხელმძღვანელობის შეფასებით, ზემოხსენებული ნეგატიური ფაქტორი არ შეუშლის ხელს კომპანიას საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

გარდა ზემოთ მითითებული მოვლენისა საანგარიშგებო თარიღის შემდეგ სხვა მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვდა კორექტირებას ან განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში, ადგილი არ ჰქონია.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2020 წლის 21 ნოემბერს.